უფასო

ჩვენი გაზეთი

31 ოქტომბერი
2019 წელი

№7 (44)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

მადლობა ყველას!

ეს მადლობის წერილი მინდა ყველა თქვენგანმა გაითავისოთ.

თქვენთან სტუმრობის შემდეგ ისეთი დადებითი ემოციებით ვარ დამუხტული, რომ იქნებ ამ წერილში გამონათქვამმა ფრაზებმა ცოტათი მაინც განმუხტოს.

პირველ რიგში, მინდა, დიდი პატივისცემით მოვიხსენიო ბაღდათის ხელმძღვანელობა. თუ არა მათი კეთილი ნება, კეთილშობილური საქმიანობით დაინტერესებული ადამიანების ჩანაფიქრს ხარისხი და ხალასი დაეკარგებოდა, რაც ამ ღონისძიებას თავიდან ბოლომდე გასდევდა.

მომიტევეთ ვისი სახელებიც არ იქნება გაჟღერებული, სამწუხაროდ, არ ვიცი. ესენი არიან ამ ზეიმის მაყურებლები, უცნობები და ნაცნობები, დიდები და პატარები, რომელთა სითბო და დადებითი აურა მაძლიერებს და სიცოცხლის ხალისს მაძლევს. ღრმა პატივისცემა ჩემგან მათ.

ახლა ამ თავყრილობის მთავარ გმირებს მინდა მოვეფერო. ქალბატონ სოფო ნატრიაშვილსა და ბატონ სოსო კოტორეიშვილს. გაგიმხელთ და გეტყვით, რომ მე მათ ამ ღონისძიებამდე არ ვიცნობდი. თავიანთი სურვილითა და მონდომებით, გარემოცვის დახმარებით, უფლის ნებით სულზე მომისწრეს (ხუმრობით), ამიტომ გაასკეცებული სიყვარული და პატივისცემა მათ. მრავალ ადამიანს ხალისი შემატეთ. ეს ერთი და სხვა უამრავი სიკეთე წარმატებით გეკეთებინოთ. მონდომება და თქვენი შრომა დაფასდა, ასე გააგრძელეთ. ჩემი ოთხმოცდაათი წლის თავზე მეც შემოგიერთდებით.

მადლობა უშუალოდ ღონისძებაში

მონაწილეებს, შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალს. მადლობა ქალბატონ ეთერ დავაძეს, ჩემს მეგობრებს, კოლეგებს გულთბილი მოლოცვისათვის.

მადლობა და კეთილი მოკითხვა ჩემგან უნიჭიერეს მუსიკოსებს, რომლებმაც ჩემს საპატივცემულოდ გამართული შეხვედრა უსაყვარლეს ბაღდათელებთან არაჩვეულებრივად დააგვირგვინეს.

ისტორიული მნიშვნელობისა და ტრადიციების მქონე ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმის დირექტორს ბატონ ბექა კუჭუხიძეს უღრმესი მადლობა მასპინძლობისთვის.

ჩემი ახლობლები ნატო და ნანა იოსელიანები, მაცაცო კობახიძე მონდომებას არ იშურებდნენ, რომ გავემხნევებინე და შეხვედრაზე ჩამოვსულიყავი, დიდი მადლობა მათ.

ჩემი მრავალსულიანი ოჯახის დიდებულ მასპინძელს ბატონ გია შაშუკსა და მის ოჯახს, უმცროსი წევრის ლუკას თამადობით, ჩემგან და ჩემი ოჯახის წევრებიდან დიდი მადლობა მათ.

ტელეკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელს, დიდებულ ქალბატონს თამარ ღვინიანიძეს. მე თქვენ გნახეთ თქვენს არხზე სეზონის გახსნის დღეს, მოვისმინე თქვენი ინტერვიუ. მიიღეთ ჩემგან მოწონება და პატივისცემა. პროგრამის უსათნოეს წამყვანს და მის პარტნიორს ჩემგან დიდი მადლობა.

გადმომიგზავნეს თქვენგან გაჟღერებული კომენტარები, ძალიან მესიამოვნა, მეტიც თითოეულმა სიტყვამ ჩემს გულში დაიდო ბინა. უღრმესი მადლობა სათითაოდ ყველას. ვინაობის ჩამოთვლის საშუალებას არ მაძლევს კომენტარების უსაზღვრო რაოდენობა. გვიმრავლოს ღმერთმა ასეთი დადებითი მუხტის მატარებელი ადამიანები, „არ გადავშენდებით“.

ოთხმოცდაორჯერ ჩამოჰკრა ზარმა

ოთხმოცდაორჯერ ჩამოჰკრა ზარმა,
ოთხმოცდაორი სანთელი ჩაქრა,
ოთხმოცდაორი ყველაფერი ბევრია ალბათ...
როცა თვალს ვავლებ
ოთხმოცდაორ გავლილ გაზაფხულს
მცხუნვარე ზაფხულს, შემოდგომას,
ქათქათა ზამთარს,
როცა თვალს ვავლებ განვლილ ცხოვრებას,
როცა სიცოცხლეს ფასს ვადებ ახლა,
ოთხმოცდაორი ყველაფერი ბევრია ვიცი
სიცოცხლის გარდა!

ზანდა იოსელიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ღვინის საერთაშორისო არტ ფესტივალი გაიმართა

5 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, ღვინის საერთშორისო არტ ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა ბაღდათის მუნიციპალიტეტი 2018 წელს შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური განვითარებისათვის“. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო შეემუშავებინა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთი აქტივობა იყო საერთაშორისო ფესტივალის მოწყობა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ანალიზის შედეგად იმედისმომცემ სექტორად ტურიზმი და სოფლის მეურნეობა წარმოჩინდა. ამიტომ გადაწყდა ღვინის არტ ფესტივალის ჩატარება, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის იქნებოდა და ხელს შეუწყობდა კერძო მეწარმეობის განვითარებას, ტურისტული პოტენციალისა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას.

ღვინის არტ ფესტივალი ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში და მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა. მასში მონაწილეობა ბაღდათის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 50-მდე მეღვინემ მიიღო. ფესტივალზე

გამოფენილი იყო ოჯახური წარმოების თეთრი და წითელი ღვინოები, წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, ხელოვნებისა და რეწვის ნიმუშები.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ „არტ მაიაკოვსკი“, ქართული სიმღერებისა და ცეკვების გალა კონცერტი, რომელშიც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ასევე ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ რიგის ფოლკლორული ანსამბლი მონაწილეობდა.

ღონისძიების ფარგლებში საპატიო ბაღდათელების დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. წელს საპატიო ბაღდათელის ტიტული ინჟინერ ავთანდილ კვეტენაძეს, პედაგოგ ომარ ჩიქვინიძეს, მსახიობ ეთერ დევაძესა და ექიმ რომან გრძელიძეს მიენიჭა. მათზე ვრცლად ქვემოთ მოცემულ სტატიაში გიამბობთ.

ფესტივალი ელექტრონული მუსიკის კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდა. ღვინის საერთაშორისო არტ ფესტივალის დაფუძნების მიზანი ბაღდათის, როგორც ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილის დამკვიდრება და ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის, განსაკუთრებით კი ღვინის პოპულარიზაცია და რეალიზაცია გახლდათ. ფესტივალის პარტნიორები რესტორანი „მუზეუმი“, ქალაქ ქუთაისის მერია და სსიპ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. მას სპონსორებას შპს კურორტი საირმე და ლიბერთი ბანკი უწევდა. ღვინის საერთაშორისო არტ ფესტივალი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, იმერეთის მუნიციპალიტეტების, ფინკა ბანკისა და სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გაიმართა.

მარიამ ოქროჭელიძე

საჭიროა ბაღდათელები



ომარ აკაკის-ძე ჩიქვინიძე დაიბადა 1938 წლის 9 აპრილს ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში. 1945 წელს სწავლა დაიწყო დიმის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1955 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბაღდათის ეგ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლაში ლაბორანტად და დაწყებითი კლასების შრომის მასწავლებლად.

1956 წელს სწავლა განაგრძო ქალაქ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 1957 წლის ზაფხულში, 4 თვით იმყოფებოდა ყაზახეთში ყამირ და ნასვენ მიწებზე სამუშაოდ.

1961 წელს მუშაობა დაიწყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე დიმის შვიდწლიანი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1 წლის შემდეგ შეთავსებით დაიწყო მუშაობა ბაღდათის ეგ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1963 წელს აირჩიეს საქ. ალკკ. მაიაკოვსკის კომიტეტის მეორე მდივნად, სადაც 2 წელი იმუშავა. შემდეგ იყო საქ. კპ. მაიაკოვსკის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ლექტორ-პროპაგანდისტი 1966 წლამდე. ამავე პერიოდში შეთავსებით მუშაობდა პედაგოგად ბაღდათის ეგ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლაში.

1966 წელს დაინიშნა ნერგეეთის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში, ხოლო 2 წლის შემდეგ მუშაობა განაგრძო დიმის პირველი საშუალო სკოლის ორგანიზატორად და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1973 წელს დაინიშნა როკითის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა 2006 წლის 21 აგვისტომდე. შემდეგ მუშაობა განაგრძო ამავე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილედ და ქიმიის მასწავლებლად.

ბატონი ომარი 12 წელია მუშაობს ბანკ „კრედოს“ სოფლის კონსულად სოფელ დიმში.

რომან დავითის-ძე გრძელიძე დაიბადა 1939 წლის 25 დეკემბერს, ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში. სწავლა დაიწყო დიმის ოთხწლიან სკოლაში, 1957 წელს კი დაამთავრა ქალაქ ბაღდათის ეგნატე ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებელში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქალაქ ქუთაისის მე-2 სტომატოლოგიურ კლინიკაში.

ის მუშაობდა ასევე სოფელ დიმის ამბულატორიაში, ბაღდათის კბილის საპროთეზო ლაბორატორიაში, რაიონულ საავადმყოფოში.

1998 წლიდან 2008 წლამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბაღდათის სამედიცინო კოლეჯში.

1989-1991 წლებში მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. წარმოადგენდა „ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირის“ რწმუნებულს ბაღდათის რაიონში. აქტიურად მონაწილეობდა რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რომან გრძელიძე არის ავტორი წიგნებისა: „მასალათმცოდნეობა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ და „გრძელიძეების გვარის ისტორია“.

სამწუხაროდ, ბატონი რომანი სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. „ჩემი გაზეთის“ გუნდი სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

ეთერ დევაძე დაიბადა ქალაქ ფოთში 1946 წლის 14 ოქტომბერს. 1965 წელს დაამთავრა სკოლა ოქროს მედალზე. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კულტ. საგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ ჩამოიყვანეს ბაღდათის კულტურის ცენტრში სახალხო თეატრის მსახიობად და 50 წელია სცენაზე დგას.

1975 წლიდან 2000 წლამდე პარალელურად მუშაობდა ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. პირველმა დააარსა ბავშვთა და ახალგაზრდული თეატრები ბაღდათში. არის მხატვრული კითხვისა და მეტყველების სპეციალისტი და დღემდე ასწავლის ახალგაზრდებს ამ მიმართულებით.

1955-2012 წლებში იყო ბავშვთა სექტორის განყოფილების გამგე. ასევე ბაღდათის საქალაქო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

1993-2000 წლებში მუშაობდა დიმის კულტურის სახლის სამხატვრო ხელძღვანელად. ამ ხნის განმავლობაში კულტურის ცენტრში დადგა 15 პიესა, 30 სკეტჩი და 70-მდე მინიატურა.

ამჟამად არის ბაღდათის სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობი, აქვს 130 მთავარი როლი შესრულებული. იყო გასული წლების ღონისძიებების ორგანიზატორი, საპარადო გადაცემების დიქტორი, დეკლამატორი.

მიღებული აქვს მრავალი პრიზი და ჯილდო:

1972 წელი – საკავშირო ფესტივალის ლაურეატი

1975 წელი – რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი.

1981-1983 წლებში – პირველი ხარისხის დიპლომები.

2003 წელი – ქალის როლის საუკეთესოდ შემსრულებლის დიპლომი.

2017 წელი – იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის გუბერნიის მიერ დაწესებული საქართველოს დამსახურებული არტისტის ქართული თეატრის ვარსკვლავის ევა ხუტუნაშვილის სახელობის პრემია, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

2012 წელი – ღირსების ორდენი.

2016 წელი – 70 წლის იუბილე და შემოქმედებითი საღამო.

ავთანდილ კვეტენაძე დაიბადა 1942 წლის 25 თებერვალს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა დიმში. 1959 წელს დაამთავრა დიმის 1-ლი საშუალო სკოლა. ამის შემდეგ მუშაობდა ფიზიკურად კოლმეურნეობაში. 1965 წელს სწავლა დაიწყო სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში (დაუსწრებლზე). არის სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი. 1966 წლიდან 1972 წლამდე მუშაობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს სააგურე ქარხნის მექანიკოსად, 1972-1983 წლამდე კი – ბაღდათის №69 პროფ. ტექნიკურ სასწავლებელში ოსტატ-მასწავლებლად. ამის შემდეგ იყო ბაღდათის რაიონის ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე. 1989 წლიდან დღემდე მუშაობს ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებაში (მაშინდელ კომუნალურ გაერთიანებაში იმუშავა მთავარ ინჟინრად 20 წელი) სპეციალისტად.

ანა ქორიძე

მარნიდან ღვინის ქარხანამდე

დასაწყისი „ჩემი გაზეთის“ №6 (43)

1908 წელს ვარციხის ღვინის ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა. როგორც აღვნიშნე, მევენახეობისა და სამრეწველო მეღვინეობის გეგმაზომიერი განვითარება საქართველოში ოციანი წლებიდან დაიწყო. შეიქმნა სახალხო მამულების ტრესტი - „სამტრესტი“. „სამტრესტში“ შედიოდა ანანოვების მამულების ბაზაზე ახლადჩამოყალიბებული ვარციხის საბჭოთა მეურნეობაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტრიანოვ ბაკაშვილი და მთავარი მეღვინე კოტე ჩოლოყაშვილი. ამავე დროს საფუძველი ეყრება ყურძნისა და ღვინის მიმღებ პუნქტებს ბაღდათში, წითელხევსა და ობჩაში.

ვარციხის ღვინის ქარხანა თავიდანვე მრავალდარგობრივი იყო. აქ მზადდებოდა სხვადასხვა მარკის ღვინოები. პირველად აქ დამზადდა სამარკო ღვინო „ცოლიკოური“. აქ მზადდებოდა საკონიაკე სპირტი, შამპანური, სუფრის სამარკო ღვინო, პორტვეინი „ლელო“, პროტვეინი „ხორსა“, ყურძნის წვენი და სხვა. ვარციხის ღვინის ქარხნის ღვინო-მასალებიდან გამოხდილი სპირტების ბაზაზე კონიაკის სპეციალისტმა ვახტანგ ციციშვილმა შექმნა კონიაკი „ვარციხე“, ხოლო ცნობილმა მეღვინემ ვალერიან კანდელაკმა შეიმუშავა ტექნოლოგია, რომლის მიხედვით 1928 წელს პირველად დამზადდა დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი სადესერტო ღვინო „სალხინო“.

წარმოების ზრდამ მოითხოვა ქარხნის გაფართოება – აშენდა სპირტის სახდელი, ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო, ყურძნის წვენისა და საბონდრე საამქროები, ლაბორატორია, ტექნიკური, ქიმიური სამსახური, კანტორა და სხვა. ანანოვის დიდებული სასახლე კი, რომელიც საყურადღებოა როგორც არქიტექტურულად, ასევე თავისი მდებარეობითა და შინაგანი ტოფოგრაფიით, საბავშვო ბაღად გადაკეთდა.

ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი თავკაცი ლევან სხირელი მზრუნველ ხელს არ აკლებდა მეურნეობას. აი, რას წერდნენ გაზეთები ამ უანგარო ადამიანზე: „ამხ. სხირელი დაწინაურებული მუშაა, მას გავლილი აქვს მძიმე შრომისა და მძიმე ცხოვრების სკოლა. სიმშვიდე და სიდინჯე მისი დამახასიათებელი თვისებებია. მამულს თავს დასტრიალებს დილიდან დაღამებამდე. მამულის დირექტორი თავის საპასუხისმგებლო პოსტზედაც დამკვრელურ მუშად რჩება.

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში

შუქრი ნაკაშიძე

შემოდგომა ბაღდათში

წელიწადის ამ დროს ბუნება ყველაზე ლამაზია, არაჩვეულებრივი ფერებითა და ჰაერში გაფრქვეული მწიფე ხილის, მაჭრისა და ახლად დადუღებული ღვინის მათრობელა სურნელით. ამ მხრივ არც ბაღდათის მუნიციპალიტეტია გამონაკლისი, მითუმეტეს, როცა ფუტკარივით მუშა ოჯახს სტუმრობ, სადაც თითოეულ ნერგს, ხეს, ნაყოფს როგორც სულიერს ისე უვლიან და ეფერებიან.

„ჩემი გაზეთი“ საშემოდგომო სამუშაოებთან დაკავშირებულ თემებზე სასაუბროდ სოფელ წითელხევში მცხოვრებ გოჩა დევიძის ოჯახს ესტუმრა. საოჯახო ბიზნესში აქტიურადაა ჩართული ბატონი გოჩას შვილი ოთარ დევიძე, რომელიც სწავლის დასრულების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მათთან თხილის მოსავალზე უნდა გვესაუბრა, თუმცა ადგილზე მისულებს იმდენად საინტერესო სანახაობა დაგვხვდა, რომ თემა ნამდვილად მრავალფეროვანი გამოვიდა.

ბატონი გოჩა ფრიად სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა და გულწრფელად მოგვიყვა მისი ჩანაფიქრი ნელ-ნელა, დიდი შრომისა და ნებისყოფის ხარჯზე როგორ მოიყვანა სისრულეში. მან თხილის გაშენება 2005 წელს გადაწყვიტა და 600 ძირამდე ანაკლიური ჯიშის ნერგი დარგო კიდეც. თუმცა მალევე, ოჯახური პირობების გამო, საზღვარგარეთ მოუწია წასვლა და უკვე 2008 წელს, სახლში დაბრუნების შემდეგ თხილის ნარგავები გააორმაგა. მისი თქმით, მოსავლით უკმაყოფილო ბოლო ორ წლამდე არ ყოფილა. 2017-2019 წლებში ახალგამოჩენილი საფრთხეების: ფაროსანას, ნაცრის, ობისა და სიდამპლის გამო შეწამვლა აუცილებელი გახდა. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ხეხილს წელიწადში 4-5 ჯერ სჭირდება. წელს, წინა წლებთან შედარებით, თხილის მოსავალი ცოტა, მაგრამ ხარისხობრივად კარგი იყო. ბატონ გოჩას თხილის მოვლისა და შეწამვლის საკითხებთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოში იმავე სფეროში მსხვილ ფერმერებთან კონსულტაციის გავლა აქვს გადაწყვეტილი.

ოჯახს ცალკე ფართობში აქვს ბლის ბაღი (კვერნაძის ჯიშის), სადაც 70 ძირი უკვე მსხმოიარეა. აქვს 400 ძირი სხვადასხვა ჯიშის შავი ქლიავი, ასევე კომში, მანდარინი, „გულდედავას“ ჯიშის ტყემალი, კივის ტალავერი, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კოკა მარწყვის ჯიშის პლანტაცია, სუფრის ყურძნის „ჩაუშისა“ და „მოლდაური თითას“ სახეობის ყურძნის ტალავერი. ხილის რეალიზაციას ოჯახი ჯერჯერობით საკუთარი ძალებით ახერხებს.

ისინი სამომავლოდ გეგმავენ ალუჩის ბაღის გაშენებასა და შავი ვარდის სანერგეს გაკეთებას. ნანახი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ აღფრთოვანებულები ვათვალიერებდით ერთმანეთის გვერდიგვერდ, სხვადასხვა კულტურის ჰარმონიულ თანაარსებობას მზრუნველ, შრომისმოყვარე ხელს ფაქიზად რომ გაენაწილებინა. ამ ოჯახში მთელი სიცხადითა და ბარაქით დაბრძანებულა დოვლათიანი შემოდგომა.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი საშემოდგომო სამუშაოებზე სასაუბროდ სოფელ დიმის მკვიდრს, პერსპექტიულ, შრომისმოყვარე და თავის საქმიანობაზე შეყვარებულ ახალგაზრდა მეღვინეს შოთიკო ებანოიძეს ესტუმრა. იგი 19 წლისაა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და სწავლის პარალელურად აქტიურადაა ჩაბმული საოჯახო ბიზნესში. შოთიკო არაჩვეულებრივი მოსაუბრე აღმოჩნდა. მიუხედავად ასაკისა, მეღვინეობასა და ზოგადად სოფლის მეურნეობაში მისი ცოდნა გაოცებას იწვევს. მან გაგვიზიარა ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების მისეული ხერხები. მისი აწ უკვე გარდაცვლილი ბაბუა და მამა წლების წინ ეწეოდნენ მეღვინეობას. მამას თეიმურაზ ებანოიძეს საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული (კახეთი, გორი) და შესაბამისი სერტიფიკატებით არის დაჯილდოებული.

„შოთიკო ებანოიძის მარანი“ 2010 წლიდან ფუნქციონირებს როგორც საოჯახო ტიპის მარანი. ამ დროისთვის მას დაახლოებით 2200 ძირი სხვადასხვა ჯიშის ვენახი აქვს (ცოლიკოური, ძველშავი, ალადასტური, ალექსანდროული, ოჯალეში). ოჯახი წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების ხარჯზე სარეალიზაციო ღვინოს აყენებს. მარანში ასევე აწარმოებენ მუხის კასრებში დაძველებულ კონიაკს, ტარხუნისა და კომშის არაყს. ახალგაზრდა მევენახის თქმით, თავდაპირველად ვენახის შეწამვლას სპილენძოვანი პრეპარატებით იწყებს, ძირითადად კი ბიო პრეპერატებით სარგებლობს, ასევე ყოველ წელს მიწას ამდიდრებს ბუნებრივი ტორფით (ნაკელით). წელს 8 ტონამდე მოსავალი მიიღო და ძალიან კმაყოფილია. დამწყებ მევენახეებს ურჩევს კარგად გააცნობიერონ რა საქმესაც კიდებენ ხელს და აუცილებლად უნდა იყვნენ შრომისმოყვარენი.

შოთიკო 2019 წელს მონაწილეობდა ბაღდათის, წყალტუბოსა და გურჯაანის ღვინის ფესტივალებში. მისმა ღვინომ და კონიაკმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ის სამომავლოდ საფერავის ჯიშის ვენახის გაშენებასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი საოჯახო ტიპის მარნის აშენებას გეგმავს.

შეიძლება ითქვას, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ყურძნის, სიმინდისა და ხილის მოსავალი კარგი იყო. ადგილობრივების თქმით, ამას ხელი ნალექიანმა ამინდებმაც შეუწყო. ხოლო თხილის მოსავლის დიდი ნაწილი სოკოს, ნაცროვანი დაავადებებისა და ხილის მჭამელი მავნებლებისგან მიყენებული ზიანის გამო განადგურდა. სიმინდის მოსავალზე გვესაუბრა სოფელ დიმში მცხოვრები მერაბ გეგეშიძე. მან სიმინდის ახალი ჯიში გამოიყვანა, რომელიც შედარებით დიდ ტაროს იძლევა. ბატონმა მერაბმა ეს შედეგი დამტვერვისა და განსაკუთრებული მოვლის შედეგად მიიღო.

აზა მაშანეიშვილი

ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ ოქტომბრის ნომერში გაგაცნობთ ბაღდათის ერთ-ერთ გამორჩეულ ახალგაზრდას ზურაბ ტაბეშაძეს. ის ქ. ბაღდათში 1998 წლის 17 იანვარს დაიბადა. სწავლა სსიპ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლაში დაიწყო. ის თავიდანვე ნიჭიერი და გამორჩეული მოსწავლე იყო. აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. 2009 წელს ჩაღლარის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში იმერეთის რეგიონის ათეულში საპრიზო ადგილი მოიპოვა და ქ. ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებით სკოლაში საზაფხულო კურსი გაიარა. მან შეისწავლა თურქული (level of elementary) და ინგლისური ენები. 2011 წელს შემოქმედ-ნიჭიერ ახალგაზრდათა რესპუბლიკურმა ფედერაციამ (Republic federation of creative youth) დააჯილდოვა ნორჩ ინტელექტუალთა მე-5 რეგიონალურ კონკურსში მოპოვებული წარმატებისთვის. 2012 წელს ბიზნესის ჯგუფმა (Business Group) მათემატიკის ოლიმპიადაში (BG Generation) მიღწეული წარმატებისთვის პირველი ხარისხის დიპლომი გადასცა. 2012 წელს ზურაბ ტაბეშაძეს „Work Camp“ ბანაკის მიერ ორგანიზებულ სემინარში მონაწილეობისთვის დიპლომი გადაეცა. სემინარის თემა იყო „საგანგებო სიტუაციების მართვა და პირველადი დახმარების გაწევა“, რომელიც განხორციელდა პროექტის ფარგლებში „უსაფრთხოდ საქართველოში“. 2015 წელს საქართველოს მასშტაბით ქიმიის ოლიმპიადაში მე-5 ადგილი და საერთაშორისო ტურში მონაწილეობის უფლება მიიღო, იმავე წელს ისტორიის ოლიმპიადაში რესპუბლიკაში მე-9 ადგილი დაიმსახურა. 2014 წელს სასკოლო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებისთვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, 10 დღით გაუშვეს საზაფხულო სკოლაში გერმანიაში, 14 დღით კი ინგლისში.

2016 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. პირველივე სემესტრში ის რეიტინგით 1-ლი სტუდენტი იყო კურსზე. მეოთხე წელია პრეზიდენტის სტიპენდიანტია. სწავლის პარალელურად მუშაობს სამედიცინო ცენტრ „ინოვაში“ ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში ექიმის დამხმარედ.

უყვარს თავისუფალი დროის მეგობრებთან გატარება, ბიოგრაფიული ჟანრის ფილმების ყურება და მხატვრული ლიტერატურის კითხვა.

„ჩემი გაზეთი“ წარმატებას უსურვებს მართლაც ნიჭიერ და საიმედო მომავლის მქონე ახალგაზრდას, სწორედ ასეთი ადამიანების იმედად გვითენდება უკეთესი ხვალინდელი დღე.

აზა მაშანეიშვილი

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულია, რომელიც მხოლოდ საქართველოში აღინიშნება (14 ოქტომბერს) და მას თავისი ისტორიული თუ რელიგიური დატვირთვა აქვს. პირველ რიგში ვისაუბროთ ქალაქ მცხეთაზე, რომელიც მდ. მტკვრის ორივე მხარესაა გაშენებული. მცხეთის დასახელებას პირველად ვხვდებით ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, სადაც ნათქვამია რომ მცხეთა დააარსა მცხეთოსმა, საქართველოს მამამთავრად აღიარებული თარგამოსის შვილიშვილმა. თავის მხრივ, თარგამოსი ნოეს უმცროსი ვაჟის იაფთაის შთამომავალი იყო. მცხეთას ლეონტი მროველი ახსენებს ძვ.წ IV-III საუკუნეებში, როდესაც ქართლში მეფობს ჯერ აზო, შემდეგ ფარნავაზი. მცხეთამ, როგორც ქრისტიანულმა ქალაქმა, ქრისტეს გარდაცვალებიდან მალე დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. „ქართლის ცხოვრების“, „მოქცევაი ქართლისაის“ და სხვათა გადმოცემების მიხედვით სწორედ მცხეთაში ასვენია ქრისტეს კვართი, რომელიც მცხეთიდან იერუსალიმში წასულმა ელიოზ მცხეთელმა ჩამოიტანა.

IV საუკუნეში ქართლში შემოდის წმ. ნინო და აქედან იწყება აღმ. საქართველოს ოფიციალური გაქრისტიანება. ამ ეპოქის სიმბოლო სწორედ სვეტიცხოველია. „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, როდესაც მირიან მეფეს ეკლესიის აშენება უნდოდა, ერთი სვეტი ვერ აღმართა. წმ. ნინოს ლოცვით მოვიდა ანგელოზი, რომელმაც ეს სვეტი ზუსტად იქ დადგა, სადაც ქრისტეს კვართი იყო დამარხული. თავდაპირველად ეს ეკლესია ხის იყო. იგი ვახტანგ გორგასალმა V ს-ში ქვის ეკლესიით შეცვალა. ჟამთა მსვლელობამ და მტრის გაუთავებელმა შემოსევებმა სვეტიცხოველს თავისი კვალი დაატყო. ეს დიდებული ტაძარი ბევრჯერ დაინგრა და აღდგა. ერთ-ერთი ასეთი რესტავრაცია ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი I-ის დროს განხორციელდა. სვეტიცხოვლის ეს განახლება მხატვრულად აქვს აღწერილი კონსტატინე გამსახურდიას თავის ისტორიულ რომანში „დიდოსტატის კონსტატინეს მარჯვენა“. სვეტიცხოველი კიდევ რამდენჯერმე განახლდა. ერთ-ერთი ასეთი განახლება ეკუთვნის ერთიან საქართველოს მეფეს ალექსანდრე I-ს XV საუკუნეში. ასევე 1656 წელს ქართლის მეფის როსტომისა და მისი მეუღლის მარიამ დედოფლის თაოსნობით აღადგინეს გუმბათის ყელი.

მცხეთობა-სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი დღესასწაული ყოველთვის ტარდებოდა საქართველოში. 1991 წელს ეს დღე უქმე დღედ გამოცხადდა. სვეტიცხოველი და ქალაქი მცხეთა სახე და სიმბოლოა იმ კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობისა, რომელსაც დღესაც მივსდევთ, ვცდილობთ შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებსაც გადავცეთ.

ჯუანშერ გეგეშიძე

ნუკრი კარკაძის შემოქმედებითი გზა

ბაღდათის მუნიციპალიტეტი რომ გამორჩეულია ნიჭიერი ადამიანებით, ეს უდაოა. ისეთი პიროვნებები კი, რომლებმაც არ დატოვეს და ცდილობენ პოპულარიზაცია გაუწიონ თავიანთ კუთხეს, ცოტა თუ შემოგვრჩა. ერთ-ერთი ასეთია ნუკრი კარკაძე – საკუთარ მხარეზე უანგაროდ შეყვარებული და პატრიოტი ადამიანი. „ჩემი გაზეთის“ გუნდი ახალგაზრდა კომპოზიტორს განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

ნუკრი კარკაძე დაიბადა 1982 წელს. დაამთავრა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლა და სწავლა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალში გაგრძელა. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1997 წლიდან, როდესაც „ნორჩ პოეტთა კონკურსში“ მონაწილეობისთვის დიპლომი მიიღო. ეს მისთვის ძალიან დიდი სტიმული იყო და მის შემოქმედებაზეც იქონია გავლენა. 2001 წელს გამოსცა პირველი წიგნი „ძნელია სიშორე“. პირველი პოეზიის საღამო კი 2002 წელს ქუთაისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართა. ნუკრის გამოცემული აქვს 2 წიგნი. თბილისის ლიტერატურულ კაფეში, მწერალთა კავშირში, ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სხვა ადგილებში ჩატარებული აქვს საკუთარი რომანსებისა და პოეზიის 18 შემოქმედებითი საღამო. ნუკრის წინსვლასა და სიმღერების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილს, რომელმაც მის შემოქმედებას სხვა სიღრმე, დატვირთვა და მრავალფეროვნება შესძინა. ახალგაზრდა მუსიკოსის სიმღერებს მღერიან ცნობილი მომღერლები: გია დავითიანი, ლაშა ღლონტი, ეკა მამალაძე, ირმა სოხაძე და სხვანი. ნუკრი მუშაობს ახალ პროექტებზე, რომლის დეტალებიც ჯერ არ გაგვიმხილა. აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „მუსიკასთან“, სადაც იბეჭდება მისი კვლევები.

ნუკრიმ 2008 წლიდან საბავშვო სიმღერების წერა დაიწყო. პირველი ნაწარმოები გახლდათ „პეპელა“. დღეს კი ის არის ავტორი საბავშვო სიმღერების კრებულისა, რომელიც მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გამოიცა. ნუკრის თქმით, საბავშვო სიმღერებმა მას დიდი წარმატება მოუტანა. მათზე გადაიღო 10 მუსიკალური კლიპი და პრეზენტაცია 10 სექტემბერს ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სახლმუზეუმში გამართა. ნუკრის ორი საბავშვო სიმღერა „შემოდგომა“ (მე-4 კლასი) და „ოდა იმერეთი“ (მე-7 კლასი) უკვე სკოლაში ისწავლება. ამ მიმართულებით ახალგაზრდა კომპოზიტორის შემოქმედებითი საღამოები საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში იგეგმება.

ამჟამად ნუკრი კარკაძე მუშაობს ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების სამუსიკო სექტორის კოორდინატორად და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითისა და ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლებში მუსიკის მასწავლებლად. ნუკრის განვითარებასა და წინსვლაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ოჯახის წევრებს. მისი თქმით, მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ნუკრი ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე და დღემდე ასეა. მეუღლეც ყოველთვის მის გვერდით დგას და ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაში. ყველაზე დიდი შთაგონების წყარო და შემფასებლები კი მისთვის შვილები არიან. ნუკრის თქმით, თუ შვილმა სიმღერის წერის დროს კარი არ შეუღო, მაშინ ამ სიმღერის დასრულება არ ღირს.

ნუკრის სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმები აქვს. 15 წელია სოლო-კონცერტი არ გაუმართავს და გაზაფხულზე გეგმავს გრანდიოზული საღამოს ჩატარებას, რომელიც გამორჩეული იქნება ცოცხალი ეფექტებითა და განსხვავებული სტილით. აპირებს შეასრულოს ისეთი რეპერტუარი, რომელიც ჯერ არსად შეუსრულებია. მისი თქმით, ის ბაღდათელია და აღნიშნული კონცერტი აუცილებლად მის მხარეში ჩატარდება.

ანა ძორიძე

თვიდან თვემდე

* * *

16 ოქტომბერს ქუთაისში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსებიდან 30 წლის იუბილე აღინიშნა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, იმერეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა, საზეიმო ღონისძიებები გამართა: მოეწყო შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან, იმერეთის რეგიონის სპორტსმენების საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა და ასევე, ოლიმპიური მოძრაობის მოხალისეებმა, წარმოადგინეს თეატრალური პერფორმანსი „მოგზაურობა ოლიმპიურ სამყაროში“.

საზეიმო აქტივობებში მონაწილეობა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მოადგილემ ლევან კიკნაველიძემ, ქუთაისის მერის პირველმა მოადგილემ დავით ერემეიშვილმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა მიიღეს. სტუმრებს ჩვეული შემართებით იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე მასპინძლობდა.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბაღდათის მუნიციპალიტეტში ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ბაღდათის მუნიციპალიტეტი მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

* * *

23 ოქტომბერს ქალაქ ბაღდათში წერეთლის ქუჩაზე, დეკორატიული მარადმწვანე მცენარეები დაირგო. 30-მდე ჰოლანდიური ვერცხლისფერი ნაძვი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განთავსდა. გამწვანების აქციაში მონაწილეობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ კახა ენუქიძემ და საკრებულოს დეპუტატებმა მიიღეს. სამუშაოები ა.(ა)ი.პ. ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებამ უზრუნველყო. შემოდგომაზე მარადმწვანე მცენარეების დარგვა ბაღდათში მთელი ქალაქის ტერიტორიაზე იგეგმება.

* * *

16 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეღვინეებმა ქ.გურჯაანში გამართულ ღვინის ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალზე 14-მა მეღვინემ ოჯახური წარმოების თეთრი და წითელი ღვინოები წარმოადგინა. გურჯაანში ღვინის ფესტივალი ტრადიციულია და მესამედ გაიმართა. მასში მონაწილეობას 200-ზე მეტი მეღვინე იღებდა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეღვინეები აღნიშნულ ფესტივალზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის დავით სონღულაშვილის მიწვევით იმყოფებოდნენ. კახელმა მეღვინეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ 2020 წელს მონაწილეობა მიიღონ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ღვინისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში. ფესტივალზე გურჯაანში ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან მეღვინეებთან ერთდ, მერიის ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

* * *

სამთავრობო პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, პირველი მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, მოადგილეები: ბესიკ გოფოძე და ლევან კიკნაველიძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე ქალაქ ბაღდათისა და სოფლების მაცხოვრებლებს შეხვდნენ.

შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ადგილობრივებმა საჭიროებებსა და პრობლემებზე ისაუბრეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა ადგილობრივებს ის პროგრამები გააცნო, რომელსაც სამინისტრო სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახორციელებს. პარლამენტის წევრმა კობა ლურსმანაშვილმა კი მოსახლეობას 2020 წლის ბიუჯეტი გააცნო, რომელიც მათ საჭიროებებსა და სოციალურ ინტერესებზეა ორიენტირებული: იგეგმება პენსიების გაზრდა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების სტატუსის მასწავლებლის სტატუსთან გათანაბრება და ამ სფეროში ხელფასების ზრდა, ხელფასი გაეზრდებათ სოფლის ექიმებსაც.

სამთავრობო გუნდმა მოსახლეობის მიერ დასმულ საკითხებზე იმსჯელა და პრობლემების მოგვარება ეტაპობრივად, შესაბამის უწყებებთან კონსულტაციის შემდეგ დაიწყება. „ღია დიალოგის“ ფარგლებში სამთავრობო გუნდის წარმომადგენლები იმერეთის რეგიონის ყველა სოფლის მცხოვრებლის პრობლემებს მოისმენენ და მოგვარების გზებზე მოსახლეობასთან ერთად იმსჯელებენ.

სპორტი ამბები

2019 წლის 18-20 ოქტომბერს ქ. ქობულეთში ჩატარდა როსტომ მელაშვილის სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა. (ა). ი. პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავეებმა. ტურნირიდან ბაღდათელი სპორტსმენები შესანიშნავი შედეგებით დაბრუნდნენ:

I ადგილი – 26 კგ. დათო აბურჯანაძე
I ადგილი – 62 კგ გურამ გუმბერიძე
II ადგილი – 44 კგ. გუგა აბრამიშვილი
III ადგილი – 35 კგ. ემზარ ბურჯანაძე
III ადგილი – 26 კგ. იგორი ფანგანი
III ადგილი – 55 კგ. გიორგი ბურჯანაძე

ვულოცავთ ამ წარმატებას თითოეულ მონაწილეს და მათ მწვრთნელებს (კოტე გურგენიძე, ავთანდილ გურგენიძე, მევლუდ ჯიხვაძე, გია ჩხეტია).

ჭადრაკი

30 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით ქ.ქუთაისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში „მაია ჩიბურდანიძის თასი-2019“. შეჯიბრი გაიმართა 8, 10, 12 და 16 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ბაღდათელმა მოჭადრაკეებმა. 16 წლამდე ჭაბუკთა შორის ჯაბა ადამიამ პირველი ადილი დაიკავა, ხოლო ლილე გუმბერიძემ 16 წლამდე გოგონათა შორის მესამე ადგილი მოიპოვა. პირველი ადგილოსნები დაჯილდოვდნენ მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასებით, მედლებითა და ფულადი პრიზებით. მეორე და მესამე ადგილოსნები კი თასებით, მედლებითა და ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმართველობის მიერ დაწესებული ფულადი პრიზებით.

დავით ყიფიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ძორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, აზა მაშანეიშვილი,
ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“